პროლეტარელნო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 56 (911) შაბათი, 8 მარტს 1924 წ.

ცენტრალურ და ტფილისის კომიტეტის და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. დეპ. საბ. ცაკის ორგანო

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 6 კაპ. ჩერვონცოგით. № 56 (911)

 редакция: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24, მეორე სართული

телефоны: редакции 14—76, издания 18—53.

контора: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24 ტელეფონი 10—49.

რედაქციაში საკითხების მიღებისა და გადაწყვეტილებანი შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-დღისა დღეგამოთაბ 2-დან 3 საათამდე.

ტელეფონ, ნომრები: რედაქტორის 14—76, ადგილის 18—53.

წლის მიწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე ფოსტით—1 მან. 60 კ. კოლექტ. ხელ. 1 მან. 90 კ.; ქალაქს გარეშე მიწოვრე 2 თვის 1 მან. განცხადება 20 კ. ხაზობრივი ნომერი 5 მან. ხაზრ. განცხადებანი მარტივ ნომერში მიიღება მხოლოდ 2 საათ.

დღიური

— პარიზის ქუჩების მცველებმა გაფიცვა გამოაცხადეს.

— საფრანგეთის საავტომობილო ქარხნებში გაფიცვა.

— ნორვეგიაში მოხდა ხერხოზული შეტაკება შტრეიკბრეიკერებსა და გაფიცულ მუშებს შორის, ოდესაც ... შეტაკებას ... და გაფიცულთა ...

— ბულგარეთში გაფიცულ ... მუშები.

— ალექსანდრიაში (ეგვიპტე) ... ქარხანა.

— სპარსეთის პრესა განაგრძობს კამპანიას რეფაუზლიკის გამოცხადების სასარგებლოდ.

ნაბდიო-დაკვეთები

(„ზარია ახალ“-ის ცნობები)

ფულის რეფორმის გარშემო

ეგზავ საგუბერნიო, საოლქო კომიტეტებს, ნაციონალურ ცენტრალურ კომიტეტებს, საოლქო კომიტეტებს და ცეკას საოლქო ბიუროებს.

მოსკოვი. 7 მარტი. ფულის რეფორმის გატარება, რომელთანაც დაკავშირებულია ჩვენი კავშირის ძირითადი პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესები, უნდა იყოს დასმული პირველ რიგში როგორც პარტიულ, ისე საბჭოთა მუშაობაში. უშუალო ფინანსიური სახის ღონისძიებებს უკვე საკმაოდ ჩაეყარა საძირკველი სახაზინო ბილეთების და ვერცხლის ფულის გამოშვებით. ეხლა დღის წესრიგში უნდა დასმულ იქნეს ამოცანად ის, რომ დროს დაუკარგავად მოვახდინოთ სამეურნეო დარგში ის ცვლილებები, რომელთაც გვიკარნახებს მომხდარი ღრმა ფინანსიური გარდატეხა, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს საიმედო, უტყუარი წარმატება რეფორმის, რომელიც ხსნის ეკონომიური ცხოვრების ახალ ფურცელს. მორიგი ეკონომიური და ფინანსიური ღონისძიებები მოითხოვენ საბჭოთა აპარატის უაღრესად დაჭიმვას, პარტიის ფხიზელ ენერგიულ ხელმძღვანელობას და კონტროლს.

მთავარ ფინანსიურ-ეკონომიურ ღონისძიებებს, რომელთა განხორციელებას დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეთ, წარმოადგენენ:

1) სამრეწველო საქონლის საწვრილმანო ფასების დაწევა სახელმწიფო ორგანოების და კოოპერაციის კალკულაციის შემოწმების და სისწორით განსაზღვრის გზით. მათი საგანგებო პოლიტიკის მიმართვა ისეთი ფასების დაწესებისაკენ, რომელნიც უზრუნველყოფენ პროდუქტების მაქსიმალურ განაღდებას ... ეიცავენ მინიმალურ აუცილებელ ... ბებელ.

2) სახელმწიფო ... ორგანოების და კოოპერაციის ... ისაგან იმ ... ფასებს ... ბებლ.

3) ... ხელოვნურად ... ფასების დაწევა, რაც ... ზომების (ბაჟი, ... მორიგ ...) ... ბებლ.

4) ... ფასების ... ბებლ.

5) ... ფასების ... ბებლ.

6) უაღრესი ... ბებლ.

7) ... ბებლ.

8) ... ბებლ.

9) ... ბებლ.

10) ... ბებლ.

11) ... ბებლ.

... ბებლ.

... ბებლ.

გლეხების ინტერესი რეფორმისადმი

რიჟინსკი. 7 მარტ. გლეხებს დიდი ინტერესებს ფულის რეფორმა; მრავალ სოფლებიდან საფინანსო ორგანოებში მოდიან სპეციალურად გლეხები ახალი ფულების შესახებ ცნობების მისაღებად.

მეფის დროის მანეთი ჩერგონეცის მანეთზე ნაკლები ღირს

ვინ�ა. 7 მარტი. ახალი ვერცხლის ფულის გამოშვების გამო, **უფრო ნაკლებს ფასობს, ვინემ ჩერგონეცის მანეთი.**

კერძო ბაზარი სახელმწიფო ვაჭრობის გაფლენის ქვეშ

დენინგრადი. 7 მარტი. **კერძო** ბაზრის ფასები აღემატება **კოოპერატივის ფასებს 15—20 პროცენტით;** ფასების თანდათანი **დაწევა** გაფლენას ახდენს კერძო ბაზარზედაც.

კერძო ვაჭრები თანაუგრძნობენ რეფორმას

ხარკოვი 7 მარტი. **კერძო ვაჭრობა ხელართად თანაგრძნობით უცქერის ფულის რეფორმას.** კერძო ვაჭრები, კოოპერატიული და სახელმწიფო სავაჭროებისადმი მიბაძვით, **ეკლებენ ფასებს.**

ფასები მარილზე და ნავთზე

ხარკოვი. 7 მარტი. **შინაური ვაჭრობის კომისიამ დაიწესა ფასები მარილზე—2 კაპ. ბირეული და ნავთზე—4 ს

ქალთა საერთაშორისო დღისათვის

ამიერ-კავკასიის მუშა-ქალებს და გლეხ-ქალებს

8 მარტს, მუშა-ქალთა და გლეხთა საერთაშორისო დღეს, რუსეთის კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი ესალმება ამიერ-კავკასიის მშრომელ ქალს, რომელიც სდგას კომუნისტურ პარტიის და 3 ინტერნაციონალის დროშის ქვეშ, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ იყო ჩაგრული თავის ხალხთან ერთად რუსეთის მეფეების ხელისუფლების და საკუთარი ბურჟუაზიის, დაშნაკელების, მუსავატისტების და მენშევიკების მიერ. დღეს ის შედის, როგორც თანასწორუფლებიანი წევრი ამიერ-კავკასიის საბჭ. სოც. ფედერესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალ მშრომელ ხალხთა საერთო ოჯახში და იღებს მონაწილეობას მშვიდობიან შრომასა და ახალ ცხოვრების აღმშენებლობაში.

დღე, ამ დღემ შეამჭიდროს ამხ. ლენინის აღთქმების და მათი გამომხატველი კომუნისტური პარტიის ირგვლივ, საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის მუშა ქალთა და გლეხ ქალთა მილიონები ქალთა მოძრაობის, ძველ დემობილ მსოფლიოს ამ საზიზღარ ნაშთის საბოლოოდ აღმოსაფხვრელად.

გაუმარჯოს 8 მარტს—მუშა ქალთა და გლეხ-ქალთა საერთაშორისო დღეს!

გაუმარჯოს 3 ინტერნაციონალს, რომელიც მოუწოდებს კომუნიზმისათვის საბრძოლველად!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, რომელიც ასრულებს ამხ. ლენინის აღთქმებს.

რუს. კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანი იაკუბოვი.

სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს ა.-კ. გიუზრესგან

ქალთა საერთაშორისო დღეს, სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს ამიერ-კავკასიის ბიურო თავის მხურვალე სალამს უძღვნის ამიერ-კავკასიის წარმომებელ და დაწესებულებების ყველა მუშა-ქალებს.

სრ. რ. პ. კ. ც. ს. ამიერ-კავკასიის ბიურო მოუწოდებს ყველა პროფესიონალურ ორგანიზაციებს მტკიცედ შეუდგენ იმ ამოცანების შესრულების, რომლებიც შეიმუშავა სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმმა ქალთა შორის მუშაობისათვის. გვახსოვდეს, რომ მუშა-ქალების საქმე არის მთელი მუშათა პროფესიონალური მოძრაობის საქმე. ჩვენი პაროლია: ქალთა მომავალი საერთაშორისო დღისათვის არ უნდა იყოს არც ერთი საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტი, არც ერთი გამგეობა: კავშირის, კლუბის, დამზღვევი სალაროსი, მუშთა კოოპერაციის და სხვა, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას არ იღებს მუშა-ქალი.

დღე, მუშა-ქალთა საერთაშორისო დღე გახდეს დღე ჯამის გაკეთებისა ჩვენი მიღწევებისათვის პროფკავშირებში მუშა ქალთა ორგანიზაციის, ბრძოლაში და კომუნიზმის მშენებლობაში მათი აქტივობის გაძლიერების საქმეში.

გაუმარჯოს მუშა-ქალთა საერთაშორისო დღეს!

გაუმარჯოს კომუნისტურ პროფესიონალურ მოძრაობას.

სრ. რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს ამიერ-კავკასიის ბიურო.

8 მარტისათვის

1910 წელს 8 მარტს პირველად ჩაეყარა საფუძველი ქალთა საერთაშორისო დღეს. მის ერთი მთავარი ინიციატორთაგანი იყო როზა ლიუქსემბურგი, მსოფლიო კომუნისტური ინტერნაციონალის ქალთა წრის ხელმძღვანელი და ბელადი. 1911 წელს, 8 მარტს განსაკუთრებული ზეიმით შეხვდა მთელი კაპიტალისტური ევროპის მუშა ქალები, რომლებმაც თითქმის ყველა ქალაქებში და დაბებში, დროშებით ხელში დემონსტრაციები და მიტინგები მოაწყვეს, და მით დაანახვეს მთელ ქვეყანას [illegible] ქალმა მშრომელი ხალხის მომავლის გამოჭედვაში. ეს წელი იყო განსაკუთრებული.

მას შემდეგ 1917 წლამდი ქალებს არ ჰქონია შემთხვევა ასე ძლიერი გამოსვლა მოეწყოთ და შესაფერი ზეიმით ჩაეტარებინათ თავისი დღესასწაული. ამის მიზეზი იყო საშინელი რეპრესიები და დევნა კაპიტალისტური მთავრობის მიერ. მიუხედავათ ამისა აქა-იქ მაინც ხდებოდა ფარული მტინგები, მაგრამ აუარება ჯაშუშების მეოხებით შეიტყობდა თუ არა პოლიცია, თავს დაესხმოდა და მასიურად ჰატიმრებდა მშრომელ ქალებს, რომლებიც მოითხოვდენ მონაზისაგან განთავისუფლებას, ადამიანურ უფლებებს, არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლებას, მამაკაცთან უფლებრივად გათანასწორებას და სხვა.

ევროპაზეიულ იდეოლოგიებს ძველრმელში გამჯდარი ჰქონდათ ის აზრი, ვითომდა ქალი უნდა იყოს მამაკაცის მონამორჩილი, ლამაზი სათამაშო ნივთი, რომელსაც არ შეეწევა უნარი მამაკაცთან ერთად მიიღოს მონაწილეობა ქვეყნის მართვა-გამგეობაში, არჩევნებში და სხ. ბურჟუაზიისაგან უკეთესს მოლოდინი არც უნდა გვქონდეს. თუმცა მისი შეხედულების დამარღვეველი ფაქტები ბევრი მოიპოვება ისტორიაში, სადაც ქალს არა ერთხელ შეეხვედრებიო როგორც მეცნიერებაში, ხელოვნებაში, ისე პოლიტიკაში მომუშავეს.

1917 წ. 8 მარტს ლენინგრადის მუშა ქალებმა დაიარაზმელი, შეკავშირებული, დროშებით ხელში მოაწყვეს დემონსტრაციები, ისინი მოითხოვდენ მეფის ჯალათებისაგან ეკონომიურ-პოლიტიკური პირობების გაუმჯობესებას; მათი ლოზუნგი იყო: „ძირს ომი, ძირს სისხლის ღვრა, დაგვიბრუნეთ ფრონტიდან, ჩვენი შვილები, ქმრები და ძმები“. ეს იყო უმაგალითო გალაშქრება მუშა ქალებისა. არ გასულა დიდი ხანი, დაინგრა რუსეთში თვითმპყრობელობა, და მეტროპოლიტა კლასი და მის ნანგრევებზე აღმოცენდა მუშურ-გლეხური საბჭოთა ხელისუფლება, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, რომლის შემქმნელი და ბელადი იყო ვლადიმერ ილიას ძე ლენინი.

ჩვენი ლოზუნგია—შევიდეთ ილიჩის პარტიაში!

ყოველ წელს მუშა და გლეხი ქალები დღესასწაულობენ 8 მარტს და ყოველ წელს აყენებენ თავის მთავარ ლოზუნგს, რომლის ნიშნ ქვეშ [illegible] ეს დღესასწაული.

ეს წელი—[illegible] ამოთ დარჩება ყველა საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა მეხსიერებაში. ამ წლის დასაწყისში [illegible] პროლეტარიატის [illegible] ილიჩი—ვლადიმერ [illegible]

[illegible] მშრომელთა დაკარგვა. [illegible] ეს [illegible] ლენინი [illegible] ეროვნულ [illegible] ეროვნულ [illegible] ეროვნულ

8 მარტი

რვა მარტია... სიხარული
ჩვენს სათუთ გულს ეფინება;
ქვეყნად დადის სიყვარული
და მინდორ-ველს ეცინება.

ჩვენი დღეა... ფრთებს შლის, მღერის
ჩვენი ნაზი ოცნებები;
თვალზე ცრემლი აღარ ჟღერის,
მშრომელ ქალებს ვეკონები.

ფრთა გაშალა მისწრაფებამ
ქარი ჰკოცნის წითელ თვალებს;
გაუმარჯოს ჩვენს დიდ მცნებას,
გაუმარჯოს მშრომელ ქალებს.

აგრაფენა ბერძიე.

ძლვნად მუშა ქალს

(ქალთა დღესასწაულის გამო)

მინდა გნახო თავისუფლად
შენ ნახევრად მონად ქმნილი,
და ხუნდები, რაც შენ გბორკავს,
დამსხვრეული და აყრილი.
რომ შენ სუსტად ვერ ვინ გნახოს,
სავაჭროდ და სათამაშოდ;
თავისუფალ ნების-მყოფელ
შვილთ აღმზრდელი—დედა გნახოთ!
მინდა გნახო, ვით მეფლელე
ანასწორად ულელს სწევდე:
ჭირში, ლხინში, შინ და გარედ,
უკან არსად დაიხევდე!..
ამხნევებდე შენს მახლობელს,
სასარგებლო შვილებს ზრდიდე,
საღის გრძნობით და გონებით
შთამომავალს შეგვიქმნიდე!
რომ ის იყოს მთელს არსებით
შემქმნელი და შემომქმედი
და არ იყოს ცრუ, ზარმაცი,
უსაქმური, ენით ყბედი!
მინდა გნახო ოფლის მღვრელი
და მოღვაწე ყველა დარგზე;
ამგვარ დედებს, ვისურვებდი!..
ყოფილ-ყვნენ ყველა ხალხში!...
დადგა ხანა ნეტარების;
დღეს ბელს გიწყობს თვით ცხოვრება,
რომ პირნათლად გამოხვიდეთ,
ვით მოღაწე, და და დედა!..

მუშა შაკრო ნავთლუღელი.

ამხ. კამენევის და კალინინის მისალმება

მოსკოვი. 7 მარტი. სახ. კომისარიათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. კამენევი ესალმება მუშა ქალებს და გლეხ-ქალებს საერთაშორისო დღის გამო და აღნიშნავს, რომ კომუნისტური მსოფლიო შეიძლება აშენებულ იქნას პროლეტარიატის მიერ მხოლოდ მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა თანამშრომლობით.

ამხ. კალინინი თავის მისალმებაში მშრომელ ქალებისადმი აღნიშნავს, რომ წითელმა ოქტომბერმა რუსეთში ფართო ასპარეზი გაუხსნა ქალებს და გაანთავისუფლა ისინი საუკუნო ჩაგვრისა და მონობისაგან.

მხოლოდ საბჭოები გაანთავისუფლებენ ქალებს

საუბარი იუსტიციის სახ. კომისარიატთან ამხ. კურსკისთან.

მოსკოვი. 7 მარტი. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს, იუსტიციის სახ. კომისარმა ამხ. კურსკიმ აღნიშნა, რომ მხოლოდ საბჭოთა კანონმდებლობა აძლევს ქალს თანასწორობას და იცავს მის, როგორც მუშა-ქალის და დედის ინტერესებს. საბჭოთა კავშირში ქალი ფორმალურად არ არის შებორკილი ქორწინებით და ყოველთვის შეუძლია სურვილისამებრ მოათხოვოს განქორწინება. მთელი უურადღება დღეს უნდა მიექცეს იმას, რათა ქალს მიენიჭოს ფაქტიური შესაძლებლობა ისარგებლოს თავის უფლებებით.

„მხოლოდ ქალთა ფართე მონაწილეობა საბჭოთა მშენებლობაში, ამბობს ამხ. კურსკი—მართლაც გაანთავისუფლებს ქალს ბავშვებზე ზრუნვისაგან და მოეწყობა ბავშვთა საზოგადოებრივი აღმზრდელობა“.

ქალი და მეცნიერება

მოსკოვი. 7 მარტი. სახალხო განათლების კომისარიატის ცნობით, უნივერსიტეტებში ქალები შეადგენენ ყველა მოსწავლეთა 45 პრო.-ს; პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებლებში—70 პროც., საექიმო-სამეთოლო სასწავლებლებში—53 პროც., სასოფლო-სამეურნეო კურსებზე—26 პროც.-ს, ტეხნიკურ სასწავლებლებში—9 პროც., სამხატვრო-მუსიკალურ სასწ.—50 და ეკონომიურ დარგზე—20 პროც.-ს.

მოსკოვის მუშათა ფაკულტეტებზე ქალები შეადგენენ 23 ნახ. პროც.-ს; ლენინგრადში—30 ნახ. პროც., პროვინციაში—28 პროც.

ქალები შეადგენენ საბჭოთა რუსეთში მყოფ ყველა ეკიმიბის 30 პროც.-ს, მაშინ, როდესაც 1913 წ. ისინი შეადგენდნენ მხოლოდ 10 პროცენტს.

ქალი აღმოსავლეთში

მოსკოვი. 7 მარტი. აღმოსავლეთში ქალთა საერთაშორისო დღე ჩატარდება ქალთა განთავისუფლების, მრავალცოლიანობის და ნაადრევ იძულებით ქორწინების გაუქმების ქვეშ. საბჭოთა აღმოსავლეთში პროფკავშირებში ითვლება 5,800 ადგილობრივი ქალი, 854 ქალი იმყოფება საპასუხისმგებლო საბჭოთა სამუშაოზე, აქედან 104 ქალი აღმასკომების წევრებია.

40,000 ქალი რუსეთის კომპარტიის წევრი

მოსკოვი. 7 მარტი. 1923 წლის ცნობების თანახმად რუსეთის კომპარტიის წევრებათ ითვლება 40,000 ქალი.

ეუუთის ცხოვრებიდან

მელითონელებში

ს. მ. უ. ს. ლითონის განყოფილების სამმართველოს და 26 კომუნარის სახელობის ქარხნის სარედაქციო კოლეგია ამჟამად სცემს „კედლის გაზეთს“, რომლის პირველი ნომერი გამოვა შაბათს, 8 მარტს მუშები ხალისიანათ ათავსებენ წერილებს გაზეთში, უმთავრესათ ქარხნის ცხოვრებიდან, რაც სავსებით მიეწერება ქარხკომის და კომუჯრედის ენერგიულ მუშაობას. აქ სისტემატიურათ იკითხება ლექციები სხვა და სხვა დარგიდან: ჰიგიენიდან, მექანიკიდან, სოციოლოგიიდან; რამდენჯერმე მოეწყო კინემატოგრაფი, არის სამკითხველო საკმაო რიცხვით წიგნებისა; მუშები იწერენ გაზეთებს, რომელსაც შესვენების დროს კითხულობენ ამქრებში. ქარხანაში მოწყობილია მუშათა კლუბი, არის სცენა, რამდენიმე დეკორაცია და ფარდა; იშვიათად იმართება წარმოდგენები, არ არის დრამატიული წრე, რაც ძალიან აფერხებს კულტურულ მუშაობას. კარგი იქნება, რომ კავშირის კულტ-განყოფილება მიაქცევდეს ამ ნაკლს უურადღებას.

მუშკორი მელითონე.

შრომის ექსპლოატაციას ბოლო უნდა მოეღოს

(ა. კ. ფინანსკომის ადგილკომის საუურადღებოდ).

მე 6 უბნის საგადასახადო განყოფილებაში ადგილი აქვს შემდეგ შრომის ექსპლოატაციას. მე-6 უბნის გადასახადთა ფინინსპექტორი მოქ. კიკნაძე თავის შიკრიკს, ნოვაკს, გარდა სამსახურისა ამუშავებს თავის ოჯახში. იგი მას ძალით ოთახებს აგვევნებს, სარეცხს არეცხიებს, სადილს აკეთებიებს და ყველგან აგზავნის. ამის გარდა მოქ. კიკნაძე მას ეძცევა უდიერათ, უყვირის და ემუქრება, თუ კი იგი მას ერთგულათ არ ემსახურება, სამსახურიდან დათხოვნით ემუქრება.

საჭიროა ფინინსპექტორის ბატონური უფლებების შეზღუდვა შრომის ინსპექციის მიერ.

ინფორ. გამგე.

აღმასკომის სადარბაზო ბუხჭალტერიის თანამშრომლებში

(ქალაქის აღმასკომის საუურადღებოდ).

სადარაბო ბუხჭალტერიის თანამშრომლები ზედმეტ საათობით მუშაობენ საღამოობით (სამ საათს), რაზედაც ღებულობენ 30 პროცენტს ზედმეტ სამუშაო ხელფასს. რიგით კი, მეტი ერგებათ, რადგან ზედმეტ სამ საათს მუშაობისათვის 1 ნახ. საათის ხელფასის ქირას აძლევს ადმინისტრაცია. ამას გარდა ამავე განყოფილებაში გამგემ და მის თანაშემწემ მიიღო ნახევარი თვის საჩუქარი, სხვა თანამშრომლები კი მასზე მეტს მუშაობდენ ამ დროს და უურადღებოდ დატოვეს. საჭიროა ამ უსამართლობის გამოსწორება.

მუშკორი მემუხრუჭეშვილი.

სამაგალი სადაქციელი

(ჯანსახკომის საუურადღებოდ).

29 თებერვალს ანახ ა. ქარცხიას მეფლელ ცინცაძის ქალი ძალიან ავად გახდა, ესაჭიროებოდა საბეჭოო ინსტიტუტი, ავადმყოფი სისხლისაგან იცლებოდა. საბეჭოო ინსტიტუტში ექიმმა კუპაიძემ არ მიიღო და გაანაცხადა, რომ „დასაფოლი არ არისო“. ავადმყოფს უნდოდა ექიმს კუპაიძესთან მოლაპარაკება, მაგრამ ის მასთან არ გაუშვეს, ავადმყოფს გული წაუვიდა და იცლებოდა სისხლისაგან. ბოლოს ამხ. ქარცხიას მოგონდა ამხ. ჯ. ხუტესაშვილის ნაცნობობა, დაუძახა ტელეფონით. ამხ. ჯაგაიარას მოლაპარაკების შემდეგ მოქ. კუპაიძემ დაიწყვინა ავადმყოფი, საფოლიც აღმოჩნდა და ბინაც კარგ ადგილას მოსათავსებლად. ნუ თუ ეს საქციელი დასაშვები არის? დაუშვათ ამხ. ქარცხია არ ყოფილიყო თავის ნაცნობებით და მის ადგილას ყოფილიყო ყველასაგან უცნობი გლეხი, ან მუშა თავის ავადმყოფით, დამერწმუნეთ, რომ დღეს ის ავადმყოფი მკვდარი იქნებოდა და ექიმი კუპაიძე მას არავითარ დახმარებას არ აღმოუჩენდა ტ მოსახერხებელ საქმის მოუხერხებლად გაისტუმრებდა ავადმყოფს. სხვათა შორის მე გადმომცეს, რომ „სპეც-ექიმს“ უწოდებენ კუპაიძეს, მე კი ვთხოვდი ჯანსაღკომს, რომ ასეთი პიროვნებები მან შრომელ საზოგადოებას მოგვაცილოს, რითაც სამკურნალო საქმე ყოველივე მუშა და გლეხისათვის მისაწდომი იქნება უპროტექციოდაც.

მუკორი მემუხრუჭეშვილი.

ეს ასე არ უნდა ხდებოდეს

(ჯანსახკომის საუურადღებოდ).

ლენინის უბანში არსებობს აუდიტორია სანიტარულ განყოფილებისა, სადაც კვირაში ორ-სამჯერ სისტემატიურად კითხულობენ ექიმები ლექციებს სხვადასხვა თემაზე, რასაც, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს რკინისგზელებისათვის. ოთახი საუცხოოდ არის მოწყობილი, ყოველგვარი ხელსაწყოთ, რასაც მოითხოვს ასეთი დაწესებულება. კედლებზე გაკრულია სურათები, რომელზედაც ნაჩვენებია. არის ავადმყოფობის მაგალითები და მათი შედეგები. აღსანიშნავია ის, რომ როდესაც ექიმი კითხულობს ლექციას, ამავე დროს უჩვენებენ დამსწრეთ ეკრანზე ბუნდოვან სურათებს, რომ ამით მათ მიეცეს უფრო სწრაფი შეხედულება ამა თუ იმ ავადმყოფობაზე. შესაფერი ყველასათვის ნიმადართულია და უფასო. მაგრამ უნდა აღინიშნოს ერთი უარყოფითი მხარე, სწორედ ამ უფასო შესვლით გამოწვეული. ყოველი საქმე-მოცლილი ქუჩის ბიჭები აქ პოულობენ თავშესაფარს და სალაზღანდარო ადგილს. აი მაგალითიც: ამ აუდიტორიაში ამ დღეებში ვიღაც ექიმი კითხულობდა ლექციას ქალებისათვის, გარედ კი ამავე დროს მოეყარა თავი მრავალ ქუჩის ბიჭებს და აგინებდენ უშვერი სიტყვებით კაცს, რომელიც ჩამდგარიყო კარებში და არ უშვებდა მათ შიგნით. ამის შემდეგ ის პატიოსანი მოქალაქე, რომელსაც სურს, რომ მოუსმინოს ლექციას, შეშინებული ასეთი შემთხვევებით, აღარ ეკარება მას. და მართლაც უნდა ითქვას, რომ პირველ ხანებში, როდესაც აუდიტორია გიიხსნა, მრავალი შეგნებული ხალხი ესწრებოდა ლექციებს, მაგრამ დღეს კი სულ სხვასა ვხედავთ. ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ჯანმრთელობის კომისარიატს მიეცია მეტი უურადღება და წესრიგის დამზღვევი პირები პირველ შემჩნევეის თანავე განდევნილ იქნებოდენ იქიდან, რომ ამით მიეცეთ შეძლება ლექციის მოსმენის მსმენელთ. სხვა პატიოსან

ინფორ. გრიშა.

შესანიშნავი სადაქმო

სანიტარულ განათლების თეატრში 25 თებერვალს შესდგა საქართველოს გასაბჭოების სამი წლის თავის საღამო.

საღამო გაიხსნა ინტერნაციონალით, რის შემდეგ მოხსენება გააკეთა ამხ. ქაკარავამ. უკანასკნელმა აღნიშნა ის დიდი მიღწევანი, რომელიც მიეძღვის საბჭოთა ხელისუფლებას მშრომელთა საკეთილდღეოდ. შემდეგ მოკლე სიტყვა წარმოსთქვა ქართულ წითელ ჯაჭრის წარმომადგენელმა. მოხსენებების შესახებ მიღებულ იქნა შესაფერისი რეზოლიუცია.

მოხსენებების შემდეგ დადგმულ იქნა მსახიობ ს. წერეთლის მიერ სპეციალურად ამ დღისთვის დაწერილი პიესა, რომელიც მენშეო

დღეს, შაბათს, მარტის 8, საღამოს 7 საათზე

დანიშნულია საქ. ცაკის პრეზიდიუმის სხდომა.

დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.

საქ. ცაკის მდივანი პ. სახაროვი.

საქ. ახალციხეველთა ცეკა

8 მარტს

იწვევს გაფართოებულ პლენუმს

სამმართველოებისა და საოლქო კომიტეტების მდივნების თანადასწრებით.

1. მოხსენება შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ.
2. პრეზიდიუმის მოხსენება.
3. საადგ. სპერო

ხელოვნება

ნატან მილშტეინის კონცერტი.

გამოჩენილ პიანისტის ვლ. გოროვიცის შემდეგ ტფილისს ერსტურა მეორე არა ნაკლებ გამოჩენილი მუსიკოსი ნატან მილშტეინი (სკრიპკა). მილშტეინი დიდი ტალანტი და სერიოზული მუსიკოსია. მილშტეინის შესრულებაში ტეხნიკური მხარე ჩრდილში რჩება, ტეხნიკა არ არის მისთვის მიზანი, პრამედ საშუალებაა, პირველ რიგში არტისტი აყენებს მუსიკალობას და მუსიკალურ შესრულებას.

უნდა დაუკრა ისე, რომ იგრძნო მუსიკა და შექმნა ის—აი ამ მხრივ მილშტეინი ნამდვილი მხატვარია. არტისტს ისე ეტაცება მუსიკა, რომ ის უნებლიეთ იპყრობს აუდიტორიას, განსაკუთრებით ემოციონალურ ნაწარმოებებში, სადაც საეჭვოა კანტილენა. არტისტს აქვს ლრმა ლამაზი ტონი, ტემპერამენტი და გენიალი. დიდხანს რჩება მეხსიერებაში მის მიერ ჩაკონნი-ვიტალის შესრულება; ხმოვანება აქ თანდათან იზრდება, ფრაზიროვკა ნათელია, სჩანს ტემპერამენტიც.

დიდის განწყობილებით ასრულებს არტისტი მენდელსონის მშვენიერ კონცერტს (სკრიპკის კონცერტების ამ საუკეთესო ნაწარმოების) პირველ ნაწილს; საუცხოოდ არის შესრულებული მეორე პოეტური ნაწილიც, რომელიც აუდიტორიამ განსაკუთრებული ყურადღებით მოისმინა.

დამთავრებულათ ასრულებს არტისტი კრეისლერის ნაწარმოებს; საუცხოოდ არის შესრულებული აგრეთვე ეფექტიანი პარაფრაზი ოპერა „კარმენ“-ის თემებზე.

საზოგადოებამ ოვაციები გაუმარა ახალგაზრდა კონცერტანტს.

ჯ. ბებუთოვი.

— **დახმარება გ. ქუჩიშვილს.** სრ. საქ. მწერალთა კავშირმა აღძრა შუამდგომლობა განათლების კომისარიატის წინაშე ავადმყოფ პოეტის გიორგი ქუჩიშვილის დახმარების გასაწევათ.

— **ახალი წიგნი „მიწა“:** დაიბეჭდა და 19 მარტს გამოვა ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას ნაწერები „მიწა“. წიგნი შეიცავს 400 გვ. წიგნს დართული აქვს ავტორის სურათი და კრიტიკული წერილი.

— **სომეხ ხელოვანთა სახლში.** 16 მარტს სომეხ ხელოვანთა სახლში გაიმართება ოვსეფ ტერ-დავითიანის კონცერტი.

— **რუსული რომანსების საღამო** დღეს სახ. კონსერვატორიაში შესდგება რუსული რომანსების საღამო მომდერალ ზავალოვის და ბარათოვის მონაწილეობით.

— **„ცეხე და სასახლე“.** დღეიდან თეატრ „პოლოლში“ დაიწყება ჩვენება „ცეხე და სასახლე“-სი.

დღეს თეატრებში.

— **ოპერა** პროფკავშირების წევრთათვის „ლოენგრინი“

— **დრამა** პროფკავშირის წევრთათვის „გზაზე“.

— **სახალხო სახლი.** რუსული წარმოდგენა

ჩროვინციაში

ბუისის რაიონი (გორის მაზრა)

15 თებერვალს სოფ. როისში შესდგა ყრილობა რაიონის სოფლების საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტებისა. დაესწრენ ყველა რაიონის სოფლების კომიტეტების წევრები. პრეზიდიუმში აირჩიეს შვიდი პირი, სხვათა შორის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ჩიტიაშვილი და ინსტრუქტორი ამბ. მესხიძე, საპატიო თავმჯდომარეებათ იყვნენ არჩეულნი ამხ. ცხაკაია, მახარაძე და ორახელაშვილი; გამოსთქვეს სურვილი გაეგზავნოს მისასალმებელი დეპეშა საქართველოს ურთიერთ დამხმარე კომიტეტს. კრების გახსნის წინ, ყრილობამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ამხ. ლენინის ხსოვნას. მოხსენებას ურთიერთ შორის დამხმარე გლეხთა კომიტეტების ამოცანების შესახებ აკეთებს ამხ. მესხიძე და გზა და გზა ამხ. ჩიტიაშვილი უკითხავს ყრილობას ინსტრუქციას და ცირკულიარს წითელარმიელების დახმარების შესახებ. ამხანაგებმა, მესხიძემ და ჩიტიაშვილმა ნათლად განუმარტეს ყრილობას ის, თუ რა მნიშვნელობა აქვს ურთიერთ დამხმარე გლეხთა კომიტეტებს გლეხთა ცხოვრებაში; მათი მიზანია დაეხმარონ ყველა დაცემულს, დავრდომილს, მიწის ძვრისაგან და სხვ. სტიქიური ბუნებრივი მოვლენებისაგან დაზარალებულს, წითელარმიელს, დაჭრილს, ინვალიდებს, ქვრივ-ობლებს და სხვა. დახმარება მეკრნალობა: შრომით, ფულით, ჭირნახულით და სხვა. ყრილობამ ერთხმად გამოსთქვა თავის კმაყოფილება ამისთანა კომიტეტის დაარსების გამო და აღთქმა დასდო, რომ ყოველი წევრი კომიტეტისა იღონებს ყოველ ღონეს განამტკიცოს მათი არსებობა და შეჰკრიბოს როგორც საფონდო, ისე სხვა თანხები ამ დიდი საქმის ცხოვრებაში გასატარებლად—ამავე ყრილობაზე არჩეულ იქმნენ სათემო და სარაიონო ურთიერთი დამხმარე გლეხთა კომიტეტები. სამი სათემო: რუისის, დირბის და შინდისის და ერთი სარაიონო—რუისისა. სარაიონო კომიტეტში, სხვათა შორის, არჩეულ იქნენ ამხ. ჩიტიაშვილი და მესხიძე. ამავე ყრილობაზე გადაწყდა შესდგეს სიტ საფონდო მამულების და წისქვილებისა და ეთხოვოს რუისის რაიონის აღმასკომს აღძრას შუამდგომლობა სათანადო დაწესებულებების წინაშე, რათა ეს მამულები და სხვა დროზედ იყოს გადაცემული ურთი-ერთ შორის დამხმარე გლეხთა კომიტეტების განკარგულებაში, რათა მათ შეეძლოთ აქედანვე შეუდგენენ მამულის ნაწილის მაინც დამეშავებას, ურთიერთ დამხმარე კომიტეტების ფონდის და სხვა თანხების შესადგენად და გასაძლიერებლად.

ადგილობრივი.

ძ. ლანჩხუთი

ქ. ლანჩხუთში მთიდან გადმოდის პატარა ღელე, რომელსაც ქვეან „ლაშის ღელე.“ მთელ იმ არე-მარეს, როგორც კი წვიმა მოვა, მას პატარა ღელე დიდ ზარალს აყენებს. არ იქნა და არ ეშველა, რომ ეს ღელე თავის ძვედ კალაპოტში ჩაეგდოთ. მენშევიკების დროს რამდენი თხოვნა მივიდა მთავრობასთან, მაგრამ ხალხისთვის არ ეცალათ მათ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, გასჭრენ ძველი კალაპოტი, რომელიც თითქმის აგერ ორი წელია ზზათ არის, მაგრამ რაღაცა მიზეზის გამო ვერ მოხერხთა დდემდის ახალ კალაპოტში წყლის გაშვება. ზარალი რომელსაც ეს წყალი აყენებს თითქმის ორას-სამას მცხოვრებს, აუწერელია, ადიდდება თუ არა, გადავა თავის კალაპოტს, მიაქვს ყველაფერი ჭირნახული, ფრინველები, ზლის წისქვილებს. ეს წყალი ნახევარი ვერსის მანძილზე შიგ შუა გზაზე მიდის, სადაც ზარა გზა სულ ბოლათ წაბდენილია. წელიწადი ისე არ გავა, რომ რაიმე უბედურება ამ წყლის გამო არ მოხდეს, ან კაცი არ დაიხრჩვას, ან პირუტყვი; გამვლელისათვის ხომ ყოველდღიური ტანჯვაა, მეტადრე მოწაფეებისათვის, რომელნიც შკოლაში დადიან; თითქმის მთელ ზამთრის ამ გადმოვარდნილ ღელეს რომ მაუახლოვდებიან, ფეხზე იძრომენ და გადიან წყალში, ბევრი წყალიდან გაკეთებულ ორმოებში ვარდებიან და მიაქვთ წყალს. არის ერთი კოვილი და ტიერილი. რასაკვირველია, ასეთი პატარა საქმის გაკეთება რისთვის ვერ მოგვარდა აქ, ლანჩხუთში, მეტადრე როდესაც არამც თუ პატარა ღელის გაკეთება, არამედ აიღეთ თვით ლანჩხუთშივე რაიონის არხის გაკეთება შესძლეს. ეს საქმე დაჩქარებით უნდა მოგვარდეს.

გრიშა.

ჩხარი (შორაპნის მაზრა)

ჩხარის რაიონში ითვლება 8.000 მცხოვრები, რომელნიც ეწევიან ხვნათესვას და მეფენახეობას. ღვინის მოსავალი კარგი იცის, განსაკუთრებით ს. თერჯოლაში 1923 წ. გატარებულმა მიწის რეფორმამ ძირიან-ფესვიანად აღმოფხრა აქა იქ დარჩენილი თავად-აზნაურული და „კულაკური“ ნაშთები, რითაც საშუალება მიეცა უღარიბეს გლეხობას გაეუმჯობესებია თავისი ყოფა-ცხოვრება და თითონვე დაპატრონებოდა თავის ნაოფლარს.

ჩხარის რაიონი მოშორებულია მაზრის ტერიტორიალურ ცენტრზე, ქ. ზესტაფონზე 25 ვერსით. შეერთებულია კი გზა-ტეტეცილით, რომელიც გაივლის მდინარე ჩოლაბურზე და რომელზედაც კარგი ხანია ხიდი არ არსებობს. წვიმიანობის დროს, ყველაზე დიდ მაზრა, ჩხარის რაიონი, სრულიად მოწყვეტილია ზესტაფონს, მდინარეზე გადაუსვლელობის გამო. თითქმის ყველა მთავრობები ჰპირდებოდნენ ჩხარის რაიონის გლეხობას ამ მდინარეზე ხიდის აგებას, მაგრ მ სიტყვა სიტყვად დარჩა და სინამდვილეში არაფერი გამოვიდა. მენშევიკებმაც ბევრი ლამაზი სიტყვები დაბარჯეს ამის შესახებ; კომიტეტიც შეადგინეს, ფულიც მოჰკრიბეს მცხოვრებლებისაგან მაგრამ სიტყვები ქარმა წაიღო და ფული კი ამკრეთმა ჯიბეში დარჩა.

დღეს კი მიეცა-რა საშუალება საბჭოთა ხელისუფლებას მშვიდობიანი აღმშენებლობითი მუშაობისა, მაზაღმასკომის თაოსნობით და ხელმძღვანელობით განზრახულია აღნიშნულ მდინარე ჩოლაბურზე ხიდის აგება, რისთვისაც უკვე შემდგარია ხიდის ამგები კომიტეტი, რომელშიაც შედიან ზესტაფონის და ჩხარის რაიონების მშრომელი გლეხობის ინტერესების დამცველი პირები. ხიდის მდებარეობის ადგილი უკვე აგებულია ინ. ჰ. აბაშიძისაგან.

ჩხარის რაიონის მშრომელი გლეხობის გული და ყური ამ ხიდისაკენაა მიქცეული და დარწმუნებულიე, რომ მისი ინტერესების გამომხატველი, საბჭოთა მთავრობა სასახელოთ დაამთავრებს დაწყებულ საქმეს, ჩხარის რაიონის გლეხობა მზადაა პირველ ადგილებიანი ადგილი ამ ხიდ-ის ასაგებ-ად.

ბ. ბ.

ტყიბულის რაიონი

ტყიბულის რაიონი მთა-გორიანი ადგილია. საერთოდ მთელ რაიონში არ მოიძებნება არც ერთი დესეტინა მიწა სწორი-ვაკე, სადაც შეიძლებოდეს კარგი სამეურნეო იარაღებით მიწის დამუშავება. აქ მთელი გლეხობა ძველი იარაღებით ამუშავებს მიწას, რის წყალობით მიწის ნიადაგი არც ნახევარი ვერშოკით იხვნება. მიწის სიმწირესთან ერთად ესეცაა მიზეზი, რომ აქაური გლეხობა სიღარიბეს და სიღატაკეს განიცდის. იშვიათად შეხვდებით ისეთ გლეხს, რომ ნახევარი წლის სარჩო მოუვდეს. ამ რაიონში თუ გლეხობა ცხოვრობს და არ გადასახლებულა სხვა ადგილებში, ეს იმის წყალობით, რომ აქ არის ნახშირის მადანი (ქვანახშირის წარმოება), რაც საშუალებას წყაროს წარმოადგენს აქაური გლეხობისათვის. განსაკუთრებით გლეხებისათვის ხელსაყრელი პირობებია ხსენებულ წარმოებაში იმით, რომ შემოდგომით ყოველთვის იზრდება მოთხოვნილება ნახშირის, რაც მუშების მეტ რიცხვს თხოულობს, ამ დროს გლეხობაც ათავებს მინდვრის მუშაობას და ეშურება წარმოებისაკენ, სადაც თითქმის 6 თვის განმავლობაში რჩება, ზაფხულობით კი კლებულობს მოთხოვნილება ნახშირის და გლეხობაც მიდის სოფლებში და ეწევა თავის მეურნეობას. ხორბლეული აქ ნაკლებად მოსდით, სამაგიეროდ იცის ხეხილის კარგი მოსავალი. ბლომად მოსდათ: ვაშლი, მსხალი, ზღმარტლი, ქლიავი და სხვ. ამასთანავე საკმარისად მოსდით ღვინოც, თუმცა ის არ არის კარგი ღირსების, როგორიცაა კახეთის და სვირის.

ხილეულობას გლეხობა ვერ ჭყიდის ვერც მეოთხედ ფასად და იძულებული ხდება დათალონ და გადააქციონ ჩირად, ჩირიც უფუქდებათ, არ აქვთ საშუალება კარგათ გაზმობისა. კარგი იქნებოდა, რომ ვინმე საშრობ მანქანაზე იზრუნებდეს, მოიტანდეს რაიონში. ეს საქმე უნდა გაეკეთოს ან მიწათმოქმედების კომისარიატმა, ან კოოპერატივმა.

რაც შეეხება აღმშენებლობითი მუშაობას რაიონში,—დიდია. გზები და ხიდები აღდგენილია, რაზედაც დიდი მუშაობა აქვნ გაწეული. სასწავლებლები შეკეთებულია ყველა თემებში, დაწყებულია ახალი სასწავლებლების აგება სოფელ ტყიბულში, კურსებში და ხრესილში. უკანასკნელი დამთავრდება ორი კვირის განმავლობაში.

რაიონში 6 შრომის სკოლაა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მათ განყოფილებებს. სწავლის საქმე კარგადაა დაყენებული ამ უკანასკნელად მაინც, როდესაც მოხდა ერთგვარი შერჩევა მასწავლებლების,—ბევრი გამოიცვალა.

ამ რაიონს გლეხობისათვის მთავრობის მხრივ დიდი ყურადღების საგანს წარმოადგენს ქურო-ბაცაცებთან მებრძოლ ორგანოს (მილიციის) გამოცოცხლება, რომ ძირფესვიანად აღმოიფხვრას ეს მოვლენა, რამაც უკანასკნელად ფიზიკურ ხასიათი მიიღო მთელ რაიონში თუ არა, რამოდენიმე სოფლებში მაინც. ტყიბულის რაიონში ბანდიტებს და მათ მოქმედების ადგილი არ ჰქონია წინედაც, ეხლა აგერ ერთი წელია სულ გაიწმინდა მოსაზღვრე რაიონები და ეს აქაც სიწყნარეა ამ მხრივ, მაგრამ - რაც შეეხება წვრილ ქურდებს,—ბევრია, რაც ძლიერ აწუხებს მშრომელ გლეხობას. როცა ქურდებს დაიჭერენ, ზოგიერთი მათგანი როგორღაც იოლად ახერხებენ თავის განთავისუფლებას. საბჭომ დაადგინა ასეთი გაუსწორებელი პირები გაძეგებული ყოფილიყვნენ სავსებით სოფლებიდან. ქურდების წინააღმდეგ უნდა იქნეს მიღებული სასტიკი ზომები. ამ საქმეში უნდა ჩაერიოს უმაღლესი ხელისუფლებაც.

ოკრიბელი.

ფერილი რედაქციის მიმართ

ამხანაგო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით პლეხანოვის კლუბის, ქართულ დრამატიულ დასის სახელით ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს, რომლებმაც კეთილი ინებეს და დრამატიულ დასის ახლათ დაარსებულ სათეატრო ბიბლიოთეკას შემოსწირეს პიესები: ამბ. ლევ. ბერეულიანეშვილმა, ზაქარია შარაშიძემ, მიხეილ ჯანჯღავაშვილმა და ანდრო არეშიძემ.

პლეხანოვის კლუბის ქართულ დრამატიულ დასის მამასახლისი.

ბორნა დათანიშვილი.

მეთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. სახბ. რუსპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

1924 წ. მარტის 3

გადასახადთა და გამოსაღებთა გადახდევინების დებულების მე-6 მუხ. შეცვლის შესახებ.

გადასახადთა და გამოსაღებთა გადახდევინების მე-6 მუხ. (ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბ. რუსპ. კანონთა და განკარგულებათა კრებული 1923 წ. მე-7 №-ის 81 მუხ.) შესაცვლელად— **ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. სახბ. რუსპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:**

1. გადასახადთა და გამოსაღებთა გადახდევინების დებულების მე-6 მუხ. მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 6. გადახდის უკიდურესი ვადის გასვლისას, შეწერილი გადასახადი ან გამოსაღები, რაც შეტანილი არ იქნება იმ ორგანოებში, რომელთაც მინდობილი აქვთ გადასახდელის მიღება,—გადაირიცხება ნარჩენად; ეს ნარჩენი შეიძლება შეტანილ იქნეს, საურავის მიურიცხვად, პირველი ორი დღის განმავლობაში ვადის გასვლისას; ამ ორი საშუალვითო დღის გასვლის შემდეგ კი ნარჩენი გადახდევინებულ უნდა იქნეს საურავის მირიცხვით, დაწყებული იმ დღიდან, როდესაც გადასახდელი ნარჩენი გადაირიცხა: პირველი თვის განმავლობაში ერთ მეოთხედ პროცენტის რაოდენობით, ხოლო შემდეგი დროის განმავლობაში—ნახ. პროცენტის რაოდენობით თვითეული გადაცილებული დღისათვის.

ნარჩენის თანხა და საურავი გამოანგარიშებულ უნდა იქნეს ჩერვონეცზე და გადახდევინებულ ჩერვონეცით ან ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნით ჩერვონეცის იმ კურსის მიხედვით, რაც გამოცხადებულ იქნება ადგილობრივ გადახდის დღისათვის.

2. ამა დადგენილებით დამყარებული წესი საურავის მირიცხვისა გავრცელდება აგრეედვე იმ წინანდელ ნარჩენებედაც, რაც გადაუხდელი იქნება ამა დადგენილების ძალაში შესვლის დღისათვის“.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე—

ა გ ა მ ა ლ ი - ო ღ ლ ი

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რუსპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. ო რ ა ე ლ ა შ ვ ი ლ ი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მოადგილე—

ა. შ ა ვ ე რ დ ო ვ ი.

დადგენილება № 14

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. სახბჭოთა რუსპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

1924 წ. მარტის 1

მუშა-მოსამსახურეთა განთავისუფლების შესახებ სახელმწიფო 6 პროც. მომგებიანი ხესხის ობლიგაციების შეძენისაგან სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის გასტუმრების დროს.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რუსპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წლის ნოემბრის 1-ს თარიღითა და 102 №-ით გამოცემული დადგენილების (კანონთა და განკარგულებათა კრებული ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბ. რუსუბლიკის მთავრობისა 1923 წლის № 12 მუხლი 236) მე-3 მუხლს დაერთოს შემდეგი შენიშვნა:

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მუშა - მოსამსახურე, რომელსაც არა აქვს შემოსავლის სხვა წყარო, გარდა პირადი შრომის საშოვრისა, განთავისუფლდება სახელმწიფო 6 პროც. მომგებიანი სესხის ობლიგაციების შეძენისაგან.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რუსუბლიკის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. ო რ ა ე ლ ა შ ვ ი ლ ი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რუსუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი ნ. ი ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რუსუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის თანამდ. დრ. აღმსრულებელი—

ს. დ ე კ ი შ ვ ი ლ ი.

პარტიული და საგზოთა კალენდარი

პ ა რ ტ ი უ ლ ი

კვირას, 9 მარტს, დღის 1 საათზე ცენტრალურ პარტიულ სკოლაში **მეორეულად** მოწვეულია **სხდომა ცენტრალურ პარტიულ სკოლის ხამოსწავლელ ჯგუფის განსახილველად.** ვალდებული არიან გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები: ბაკაურიძე, ბრონიკერი, თათარაშვილი, ბუაჩიძე, ჯრიშენკო, მეგრელიძე და აგრეედვე კომეჯრედის ბიუროს, ახალგაზრდობის კომკავშირის და კურსკომის წარმომადგენლები.

საქართველოს კომპარტიის ცეკას საორგანიზაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

კვირას, 9 მარტს, ცენტრალურ პარტიულ კლუბში გაიმართება მუსიკალურ-ვოკალური საღამო სახელმწიფო ოპერის და სახელმწიფო კონსერვატორიის მსახიობთა მონაწილეობით.

შესვლა შეუძლიათ ყველა კომუნისტებს და მათ ოჯახებს.

დასაწყისი საღამოს სრულ 7 ნახ. საათზე.

კლუბის გამგეობა.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი წითელარმიელთა ნაწილებში საბჭოთა და სამეურნეო მშენებლობის შესახებ ლექციების ციკლის ჩასატარებლად, ახდენს შემდეგი ამხანაგების მობილიზაციას.

კოოპერაციის საკითხებზე—ამხ. მგალობლიშვილი, ერისთავი, მოგშენაზონი, ელისაბედაშვილი და მეგრაბიანი.

სოფლის მეურნეობის საკითხებზე—ამხ. ვ. კანდელაკი, ყვანია, კორძაია, იოვიძე და გოგოლაძე.

ხაბჭოთა მშენებლობის შესახებ—ამხ. ტალახაძე, ვარძიელი, კოსტანიანი, ოკუჯავა და პ. ივსნიანი.

სოფლად პოლიტ-განმანათლებელი მუშაობის შესახებ—ამხ. ტაკოვი, მარიამ ორახელაშვილი, ჩუბაძე, ბაკაურიძე და ორაგველიძე.

ანტისარწმუნოებრივი პროპაგანდის საკითხების შესახებ—ამხ. მედვედევი, დუდუჩავა, ნოვიკოვი, ჯრიშენკოვი და სნეგირევი.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ამხანაგები უნდა გამოცხადდენ კვირას, 9 მარტს, დღის 11 საათზე საინსტრუქტორო თათბირზე პარტიულ კლუბში (ბირუნი ქ., მუშაპის შენობა).

ტფილისის კომიტეტის მდივანი რ უ ბ ე ნ ი.

შ ა ბ ა თ ს, 8 მარტს, ცენტრალურ მუშათა კლუბში შესდგება **რუსული სიმღერის საღამო** სიმღერებს შეასრულებენ ბაკალოვი და ბარათოვი. გადმოცემა რადიოტელეფონით. დასაწყისი საღამისდან საათზე.

კლუბის გამგეობა

დ ღ ე ს 8 მარტს, დღის 1 საათზე ცეკას საგიტაციო-საპროპაგ. განყოფილებაში **დანიშნულია მუშაკების გამზმენდი კომისიის უკანასკნელი სხდომა.** მოწვეული არიან რუსულ და ქართულ მუშაკების პროფიციეტების წარმომადგენლები და აგრეედვე ამხ. ამხ. გეფეშვილი, ბელიძე, გოგოშიძე და გიგლაშვილი.

საქ. კომპარტიის საგიტ.-საპრო. განყოფილება.

— საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ ცენტრალურ **კულტშეფობის ბიუროს მორიგი სხდომა,** დანიშნული 3 მარტს, **გადავიანდა** შაბათისათვის 8 მარტს, დღის 12 საათზე, საგიტ. საპროპაგანდო განყოფილებაში. დასწრება ყველა წევრთათვის სავალდებულოა.

შაბათს, 8 მარტს, საღამოს 6 საათზე, ცენტრალურ პარტიულ კლუბში შესდგება **დანიშნულის შემაწვალელი წრის** (დაბალი ტიპის) **ორგანიზაციული კრება.**

სავალდებულოა ყველა იმ ამხანაგების გამოცხადება, რომლებიც ჩაწერილი არიან ამ წრეში.

მოწვეული არიან აგრეედვე ის პარტიული ამხანაგები, რომელთაც სურთ მონაწილეობის მიღება წრის მუშაობაში.

პარტიული კლუბის გამგეობა.

— კვირას, 9 მარტს, საღ. 7 ნახ. საათზე მუსულმან-პედაგოგების **წრის სხდომა** 1) კაჯარის მოხსენება „შრომა სკოლაში“, 2) მომავალ მუშაობის გეგმა, 3) მიმდინარე საკმეები.

კვირას 9 მარტს, დილის 11 საათზე საქართველოს კომპარტიის ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში მოწვეულია თათბირი კომპარტიის და საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის ყველა იმ ბერძენ წევრების და კანდიდატების, რომელნიც ტფილისში სცხოვრობენ.

საქართველოს კომპარტიის ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

პროფესიული.

ყველა რაიადგილკომეფეს.

ც. გ. სამდგენო ამით გაცნობებთ, რომ შაბათს, 8 მარტს, საღამოს 8 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში გაიმართება **ახალი ყოფა-ცხოვრების საღამო.**

შემდეგი წესარიგით: 1. მოხსენება ახალი ყოფა-ცხოვრების შესახებ. 2. ც. გ. მიერ ეფობის მიღება კავშირის წევრის ბავშვზე (პროლეტარული ნათესავა) 3. კონცერტი.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე ბ ი

დიდათ დამშუბარებული შვილი მარიამი, სიძე არჩილი ბენოშვილი, ძმა მიხეილი ცოლითურთ და შვილებით, აუწყებს ნათესავებს და ნაცნობებს უდროოდ გარდაცვალებას

ეიო გრიგოლის ძე ქოჩოტრაძის

პანაშვიდები დანიშნული იქნება ყოველდღე საღამოს 6 საათ. მიხაილოვის საავადმყოფოში. დაკრძალვა მოხდება კვირას, 9 მარტს, გამოსვენება დილის 10 საათზე მიხაილოვის საავადმყოფოდან, შესვენებული იქნება ჩუღურეთის ნიკოლოზის ეკლესიაში და დასაფლავებულ იქნება პეტრე პავლეს სასაფლაოზე 1—1 627

საქართველოს სახალ. კომისართა საბჭოს, საქარ. ცეკის, ამ.-კავკ. სახალხო კომისარ. საბჭოსა და ამკ. ცეკის მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებული აღგილკომი, ჩამოთვლილ დაწესებულებათა მთელი მუშა-მოსამსახურეების სახელით გამოსთქვამს რა თავის ულრმეს მუშაბარებას, საქ. სახკომის საბჭოს თანამშრომელი ძვირფასი ამხანაგი

ეიო ქოჩოტრაძის

გარდაცვალების გამო, იუწყება, რომ განსვენებულის ცხედრის გამოსვენება ყოფილ მიხეილის სახელობის საავადმყოფოდან დანიშნულია 9 მარტს დილის 10 საათზე.

637—1—1

ვ. ი. ლენინის სახელობ. **საოპერო თეატრი**

ბაბუთა ბეგოვატოვის

ბ ა ბ ა ნ ი

ბ ა ბ ა ნ ი

**ბ ა ბ ა ნ ი